№ 237 მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე

# საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 10 მან. ოთხშაბათი, ოქტომბრის 20 1920 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 15 მან. 4-ზე გ. 10 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 300 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 160 მ. სასამართლ. უწყ./განცხადებანი 100 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20 %, რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82

სახელმწ. თეატრი. ოპერა

20 ოქტომბერს **მარგალიტის მაძიებელნი**

21 ოქტომბერს **მანონი.**

22 ოქტომბერს 1920 წ.

**მეორე ბალეტის საღამო მიხეილ მორდკინისა.**

დასაწყისი სრულ $7^1/_2$ საათზე საღამოს.

**წარმოდგენის დროს შესვლა დარბაზში აკრძალულია.**

942 1—1 ოპერის დირექტორი ს. ი. ევლახიშ ილი.

## ტფილ. მაზრის ერობის გამგეობა ამით აცხადებს,

რომ მას აქვს 3 თავისუფალი ვაკანსია საბეჭდავ მანქანაზე, რისთვისაც დანიშნულია პარასკევს, 22 ოქტომბერს დილის 10 საათზე ერობის შენობაში მანქანაზე მომუშავეთა შეჯიბრება. მიიღებიან სამსახურში კონკურსით.

3255 1—1

## სამხედრო სამინისტროს სამნეო განყოფილება ამით აცხადებს,

რომ 1920 წ. 4 ნოემბერს დილის 12 საათზე მოხსენებულ განყოფილებაში სიტყვიერი და წერილობითი განცხადებით ხელმეორეთ დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ტფილისის გარნიზონისთვის, ერთი წლის ვადით ხორცის და ცხიმის ჩაბარების შესახებ. დაწვრილებითი ცნობები მსურველთ შეუძლიათ მიიღონ ყოველ დღე სამნეო განყოფილების სასურსათო სექციაში, ბარიათინის ქუჩა № 10 დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

954 3—1

# ქართული სავაჭრო ბანკის გამგეობა

## ამით საყოველთაოდ აცხადებს,

რომ თანახმად აქციონერთა საზოგადო კრების 1920 წ. 18 აპრილის დადგენილებისა და ფინანსთა მინისტრის ნებართვისა ბანკი ადიდებს თავის ძირითად თანხას

**3.500.000 მანეთიდან 15.000.000 მანეთამდე 11.500 აქციათა მეორე გამოცემით**

თითო აქცია ათას მანეთის (1.000 მან.) ნომინალურ ღირებულებისა,

**შემდეგ პირობებით:**

1) გამოსაცემი ფასი ამ აქციებისა დანიშნულია 1050 მანეთი, რომლიდანაც 1000 მანეთი ჩაირიცხება ძირითადი თანხაში, დანარჩენი 50 მან. აქციის დასამზადებლად და მის საღერბო გადასახადის ასანაზღაურებლად.

2) უპირატესობა გამოსაცემ აქციათა შეძენაში ეკუთვნის ძველი აქციათა მეპატრონეთ. ძველ გამოცემათა თვითეულ 7 აქციაზე დაეთმობათ 23 ახალი აქცია ხოლო ვადების შემდეგ გაუნაწილდება აქციები გარეშეთა შორის.

3) აქციაზე ხელის მოწერა დაიწყება 1920 წელს 10 ოქტომბრიდან და გაგრძელდება ამავე წლის 10 ნოემბრამდე და ამ დროში შემოტანილ უნდა იქნას აქციის გამოცემის ღირებულების პირველი ნახევარი 550 მან. მეორე ნახევარი 500 მანეთი კი 1921 წელს აპრილის 10-დან მაისის 10-დე.

4) აქციონერებს, რომელნიც მოისურვებენ აქციების სრული ღირებულების გადახდას პირველ ვადაში ე. ი. ნოემბრის 10-დე დაუბრუნდებათ ვადამდე შემოტანისთვის პროცენტი წლიური 6%-დან.

5) ახალი მეორე გამოცემის აქციები იღებენ მონაწილეობას მოგებაში (დივიდენდში) 1921 წ. 1-ლ იანვრიდან.

6) აქციაზე ხელის მოწერა მიიღება ბანკის გამგეობაში ფოთში.

7) ის პირნი, რომელნიც ხელს არ მოაწერენ ახალ აქციაზე 10 ნოემბრამდე კარგავენ უფლებას მეორე გამოცემის აქციათა შეძენისას.

8) ფულის შემოტანის დროს აქციონერებს მიეცემათ დროებითი მოწმობები რომლებიც შემდეგში შეიცვლებიან ნამდვილ აქციებით, როგორც კი ასეთები დამზადებული იქნება.

944 3—1

**ოფიციალური განყოფილება.**

# სახელმწიფო ბიუჯეტი 1919-1920 წლისა.

## სახელმწიფო გასავალი 1919—20 წლისა.

| § § | მუხ. | ხარჯის დანიშნულება | ნავარაუდევია მანეთი | კაპ. |
|---|---|---|---|---|
| 32 | | **ტელეფონის ქსელის მოწყობა (გაბმა).** | | |
| | 1 | ტელეფონის ქსლის შეკეთება | 784000 | |
| | 2 | ხაზის შეკეთება | 400000 | |
| | | მე-32-ე §-ის ჯამი | 1184000 | |
| | | ფოსტა-ტელეგრაფის სამმართ. საერთო ხარჯი | 49938319 | |
| | | III. | | |
| | | **საქართველოს საკათალიკოსო.** | | |
| 33 | — | სამღვდელოებას იმ მინდობილობათა შესრულებისათვის, რომელიც დავალებული აქვს სახელმწიფოს მიერ | 1714699 | 20 |
| | | მე-33-ე §-ის ჯამი | 1714699 | 20 |
| 34 | — | ისტორიულისა და ხელოვნების მხრივ მნიშვნელოვანი ტაძრების შესანახად | 11356 | |
| | | მე-34-ე §-ის ჯამი | 11356 | |
| | | საქართველოს საკათალიკოსოს ხარჯი | 1726055 | 20 |
| | | IV. **განყოფილება.** | | |
| 35 | — | შინაგან საქმეთა სამინისტროს სტამბის შენახვა | 132904 | |
| | | მე-35-ე §-ის ჯამი | 132904 | |
| 36 | — | გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციის შენხვა | 558492 | |
| | | მე-36-ე §-ის ჯამი | 558492 | |
| 37 | — | შესანახად დაწესებულებათა, რომელნიც ითვლებიან შინაგან საქმეთა სამინისტროს გამგებლობაში და არ გადასცემია ერობათ | 7069123 | |
| | | მე-37-ე §-ის ჯამი | 7069123 | |
| 38 | — | **შინაგან საქმეთა სამინისტროსთან დაარსებული განსაკუთრებული რაზმი სპეკულიაციისა, კონტრ-რევოლიუციისა და მძარცველობის წინაამდეგ საბრძოლველად.** | | |
| | 1 | პირადი შემადგენლობა | 2423105 | |
| | 2 | გზის ხარჯი | 88050 | |
| | 3 | სააგენტო ხარჯი | 1650000 | |
| | 4 | ფარული ხარჯი | 30000 | |
| | 5 | საკანცელარიო ხარჯი, სახლის დაქირავება და სხვა | 60000 | |
| | | მე-38 §-ის ჯამი | 4251155 | |
| 39 | — | შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საინსპექციო ადმინისტრატიული ნაწილის შენახვა | 236386 | |
| | | მე-39 §-ის ჯამი | 236386 | |
| | | შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარის ჯამი | 207822692 | 60 |
| | | **სახალხო განათლების სამინისტრო.** | | |
| 1 | — | მთავარი მმართველობა. | | |
| | 1 | პირადი შემადგენლობა | 827550 | |
| | 2 | საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯი | 44000 | |
| | 3 | საგზაო ხარჯი | 70417 | |
| | 4 | ბინის ქირა გათბობა განათება | 13992 | |
| | 5 | სხვა და სხვა სპეციალი საკითხების გამოსარკვევად მოწვეულ პირთა გასამრჯელო | 64584 | |
| | 6 | 1918-1919 წლის კრედიტის აღსადგენად გაღებული თანხებისა | 500000 | |
| | | 1-ლი §-ის ჯამი | 1520543 | |
| | | **სამეცნიერო, სასწავლო და სახელოსნო დაწესებულებათა შენახვა.** | | |
| 2 | — | საქართველოს მუზეუმი. | | |
| | 1 | პირადი შემადგენლობა | 742525 | |
| | 2 | სამეცნიერო საჭიროება | 127491 | |
| | 3 | „მუზეუმის მოამბის" გამოცემა | ( | |
| | 4 | საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯი | ( 22500 | |
| | | მე-2 §-ის ჯამი | 892522 | |

1920 წ. აგვისტოს 16-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე.
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე გრ. ლორთქიფანიძე.

# განკარგულებანი

**მთავრობის თავმჯდომარისა.**

18 ოქტომბერი, 1920 წ. № 27.

მიხეილ პეტრეს ძე სვანიძე დაინიშნოს ამა წლის 18 ოქტომბრიდან მთავრობის საქმეთა მმართველობის მეორე მდივნად.

მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

—

**შინაგან საქმეთა მინისტრისა.**

15 ოქტომბერი, 1920 წ., № 60.

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის ნ. ვ. ქიქინაძის დასასვენებლად გამგზავრების გამო მის მოვალეობათა შესრულება ეკისრება ჯანმრთელობის დეპარტამენტის დირექტორს ს. დ. ჯავახიძეს.

მინისტრი **ნ. რამიშვილი.**

—

**საგარეო საქმეთა მინისტრისა.**

30 სექტემბერი, 1920 წ., № 14.

საქართველოს კონსული ბაქოში კონსტანტინე მიქელაძე, თანახმად მისი თხოვნისა, სრულიად განთავისუფლებულ იქნას სამსახურიდან ამა წლის სექტემბრის 6-დან.

1 ოქტომბერს 1920 წ. № 18.

მოქალაქენი ჩიქოვანი პარასკევა ბესარიონის ასული და ოცხელი სუსანა სტეფინეს ასული დანიშნულ იქმნან ამა წლის ოცი სექტემბრიდან: პირველი კანცელარიის მოხელეთ და მეორე მანქანაზე გადამწერად.

№ 19.

ამავე სამინისტროს მდივნის თანამდებობის დროებით აღმასრულებელი (იხ. ბრძანება 13 ივლისისა 1920 წ. № 12) ალექსანდრე გიორგის ძე აბხაზი, მისი ევროპის დელეგაციის თავმჯდომარეს ადიუტანტად დანიშვნისა გამო დათხოვნილ იქნას სამსახურიდან ამა წლის პირველი სექტემბრიდან.

3 სექტემბერი, 1920 წ. № 18.

1) განსაკუთრებულ მინდობილობათა აღმასრულებელი, მოქალაქე ლევან მელიქიშვილი განთავისუფლებულია თავისი თანამდებობიდან მიმდინარე წლის ივლისის პირველიდან.

2) მოქალაქე ლევან გალაჯიშვილი-ვაჩნაძე დანიშნულია განსაკუთრებულ მინდობილებათა აღმასრულებლად მიმდინარე წლის ივლისის 10-დან.

3) მოქალაქე მირიან სადრაძე დანიშნულია კანცელარიის მოხელედ მიმდინარე წლის აგვისტოს 5-დან.

1 ოქტომბერი, 1920 წ. № 20.

მანქანაზე გადამწერი მესხიშვილი თამარ სარდიონის ასული, თანახმად მისი თხოვნისა, დათხოვნილ იქნას სამსახურიდან ამა წლისა სექტემბრის ოციდან.

№ 21.

მოქალაქე მჭედლიშვილი ნინო ანდრიას ასული დანიშნულ იქმნას ამავე სამინისტროს მანქანაზე გადამწერად ამა წლის პირველი სექტემბრიდან.

№ 22.

მოქალაქე ვლადიმერი ფილიპეს ძე ფირცხალავა დაინიშნოს ამავე სამინისტროს საქმის მწარმოებლად ამა წლის პირველ ოქტომბრიდან.

№ 25.

ამავე სამინისტროს დიპლომატიური განყოფილების უფროსი ნიკოლოზ გიორგის ძე მაჭავარიანი, თანახმად მისი თხოვნისა 1-ელ ოქტომბრიდან დათხოვნილ იქმნას სამსახურიდან.

№ 26.

ამავე სამინისტროს დირექტორი ზურაბ ანემპოდისტეს ძე მაჩაბელი, მისი რუსეთში მიმავალ საქართველოს სრულუფლებიან წარმომადგენლობაში დანიშვნის გამო, განთავისუფლებულ იქმნას დირექტორის თანამდებობის აღსრულებისაგან ამა წლის 1 ოქტომბრიდან.

დაინიშნოს დირექტორის თანამდებობაზე ამავე სამინისტროს ვიცე-დირექტორი ირაკლი დიმიტრის ძე ტატიშვილი, ამა წლის 1 ოქტომბრიდან.

მინისტრის მოვალ. დროებ. აღმასრულებელი **კ. ხაბახტარაშვილი.**

---

## არა ოფიციალური განყოფილება.

---

# შინაგ. საქმ. სამინისტროში.

**ბორჩალოს ერობის შუამდგომლობა.**

ბორჩალოს სამაზრო ერობამ შინაგან საქმეთა სამინისტროს შუამდგომლობით მიმართა სარაიონო ერობათა შემოღების შესახებ. შუამდგომლობა წვრილ საერობო ერთეულის შესახებ კანონის უქონლობით არის გამოწვეული. ამ შუამდგომლობის საპასუხოდ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ბორჩალოს სამაზრო ერობას აცნობა, რომ ერობის დროებით წესდებაში გამორკვეულია უფლება და მოვალეობა წვრილ საერობო ერთეულების შესახებაც. ერობათა კავშირის კომიტეტმა უკვე შეიმუშავა კანონ-პროექტი თემის თვითმართველობის შესახებ. კანონ-პროექტი დაბეჭდილია ჟურნალ „ერობის“ მე-4 ნომერში. იგი ზოგიერთ ცვლილებით მიღებული იქნება დამფუძნებელ კრების მიერ და ამ რიგად შეიქმნება ერობათა ორგვარი ტიპი სამაზროსი და თემისა. ასეთ პირობებში ერობის კიდევ ახალი ტიპის შექმნას მდგომარეობა აღარ მოითხოვს.

---

# სახელმწიფო დრამის თეატრი

(ყოფილი არტისტიული—რუსთველის პრ. № 21. ტელ. 8-07)

**სეზონი 1920—1921 წლისა**

ხუთშაბათს, ოქტომბრის 19-ს,

# ს ი ც რ უ ე

ვინნიჩენკოსი.

**დასაწყისი საღ. 7½ საათზე.** **რეჟისორი მ. ქორელი.**

**მოქმედების დროს დარბაზში შესვლა აკრძალულია**

**ანონსი:** შაბათს, ოქტომბრის 23-ს, **„ოიდიპოს მეფე“** | კვირას, ოქტომბრის 24-ს, სალამოთი, **წარმოდგენა მუშებისათვის „გ უ შ ი ნ დ ე ლ ნ ი“**

ბილეთები იყიდება დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდის და სალამოს 6 საათიდან 10 საათამდის.

936 2—1

---

# იუსტიციის სამინისტროში

**16 ოქტომბრის კრება.**

დამფ. კრების წევრის ს. ჯაფარიძის თავმჯდომარეობით შესდგა კანონების გადამსინჯავ კომისიის კრება. სხდომას დაესწრნენ: სხვა და სხვა სარწმუნოების და ეროვნულ საბჭოთა წარმომადგენლები. განიხილეს საკითხი ეკლესიის სახელმწიფოდან ჩამოშორების შესახებ. კანონ-პროექტით წინდახედულია: 1) უზრუნველყოფა რესპუბლიკის მიერ რწმენის თავისუფლებისა და სარწმუნოებრივ ლვთის მსახურების თავისუფლად წარმოებისა, პოლიტიკურ და სამოქალაქო უფლებით სარგებლობა არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რომელ სარწმუნოებას ეკუთვნის ესა თუ ის პირი და არავინ არ შეიძლება იდევნებოდეს თავის რელიგიურ შეხედულებისათვის; 2) რესპუბლიკა არ მფარველობს და არ აძლევს ჯილდოსა და სუბსიდიას, რა ფორმითაც არ უნდა იყოს იგი არც ერთი სარწმუნოების მსახურთ და უკანასკნელთა უზრუნველყოფას და აგრეთვე სასულიერო დაწესებულებათ მორწმუნეთ ანდობს; 3) მართლ-მადიდებელ ეკლესიას ისე, როგორც სხვას ეძლევა უფლება თავისუფალი თვით მოწყობისა; 4) არც ერთ სასულიერო დაწესებულებას არ აქვს უფლება შეიძინოს უძრავი ქონება კერძო საკუთრებად; 5) უძრავი ქონება, რომელიც სასულიერო დაწესებულებათა ხელშია, სახელმწიფოს საკუთრებაში გადადის; 6) განათლების მინისტრს ევალება შეადგინოს სია საეკლესიო ქონებისა, რომელსაც აქვს ისტორიული და მხატვრული ღირებულება და რომელიც სახელმწიფოს პირდაპირ გამგებლობაში უნდა გადავიდეს; 7) არსდება რა თავისუფლება სარწმუნოებრივი პროპაგანდისა, რესპუბლიკა კრძალავს სასწავლებლებში სალვთო სჯულის სწავლებას; 8) ცერემონიები, პროცესიები და კულტის სხვა გარეშე გამოხატულებანი წესრიგდება ქალაქთა და ერობათა თვითმართველობების მიერ. ამ პროექტის განხილვამ ცხარე კამათი გამოიწვია. კამათის გაგრძელება დაინიშნა შემდეგ სხდომისათვის, რომელიც ოთხშაბათს შესდგება.

**სამეურნეო ხარჯების გადიდება.**

იუსტიციის სამინისტრომ მთავრობას წარუდგინა განსახილველად პროექტი კანონისა საკანცელარიო, სამეურნეო, დღიურისა და სხვათა ხარჯების გადიდების შესახებ. კანონ-პროექტის ძალით არსებული სამეურნეო ხარჯები იზრდება: საკანცელარიო სამჯერ, სამგზავრო და დღიური ხუთჯერ, განზრახულია გადიდებულ ჯამაგირების ოქტომბრის პირველიდან შემოღება.

# შრომის სამინისტროში.

ბათომის ოლქის შრომის კომისარმა შრომის სამინისტროს მიმართა შეკითხვით. 1) რამდენი საათი უნდა იმუშაონ დღეში ბათომის ბოტანიკურ ბაღში და 2) როგორი შრომის ხელფასი არის დაწესებულიო. შრომის სამინისტრომ განმარტა, რომ ბათომის ბატანიკურ ბაღში მომუშავე მუშებზე უნდა გავრცელდეს 1917 წ. ივნისის 29 დეკრეტიო, შრომის ხელფასის შემუშავების დროს უნდა იქნეს მიღებული სახეში საშუალო ხელფასი, რომელიც ბათომის შავ მუშათათვის არის დაწესებული.

---

# საბჭოთა რუსეთში

(გაზეთებიდან).

**ბაშკირ ქალების კონფერენცია.**

საბჭოთა გაზეთების ცნობით სტერლიტმაკტში სექტემბრის პირველ რიცხვებში შესდგა ბაშკირთა ქალების კონფერენცია. კონფერენციაზე განსაკუთრებით უმუშევართა ქალების რიცხვი სჭარბობდა.

**სახალხო უნივერსიტეტი.**

გლაზოვში გაიხსნა გლეხთათვის სახალხო უნივერსიტეტი.

**ზავი პოლონელებთან.**

ბოლშევიკების ცენტრალურმა კომიტეტმა გადასწყვიტა, რომ ზავი პოლონელებთან აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს რუსეთისთვის. რადგან რუსეთი პოლონელებთან საზამთრო კომპანიაში დამარცხდებაო.

**საagitაციო თეატრი.**

ბოლშევიკებმა სპეციალური კომისია დაარსეს თეატრის საagitაციოდ. ამ მიზნით ბოლშევიკები გზავნიან სხვა და სხვა პირებს პროვინციებში, რომელნიც აწყობენ წარმოდგენებს. წარმოდგენებს ვიწრო საagitაციო ხასიათი აქვთ და სახელად ამ წარმოდგენებს აგიტ-სპექტაკლებს არქმევენ.

**საგანგებო წესები.**

ნორმალურ მიმოსვლის დაშლის გამო სახ. კომისართა საბჭომ გამოაქვეყნა საგანგებო წესები სამგზავრო მატარებელთა მიმოსვლის შესახებ.

**ვინიჩენკო.**

„პრავდა“ იუწყება: უკრაინის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეთ და საგარეო საქმეთა სახ. კომისრათ დაინიშნა გაკომუნისტებული ვინიჩენკო.

**პროფეს. კავშირები.**

საბჭოთა რუსეთის პროფ. კავშირთა წარმომადგენელი რიაზანოვი ლონდონში მოვიდა. „ტანი“ იუწყება, რომ რიაზანოვი კამენევის მოადგილეთ არის დანიშნული.

**პეტროგრადის ქარხნები.**

ეკონომიური ცხოვრება იუწყება: პეტროგრადის ქარხნებს ცოცხალი ძალა აკლიაო. მუშების სიმცირე უდიდესი მიზეზია ქარხნების ნორმალურ მუშაობის დარღვევისა. კრიზისის თავიდან ასაშორებლად მოიწვიეს საგანგებო თათბირი. გადასწყვიტეს: მოახდინონ ქარხნებში მუშათა გადაჯგუფება. ქარხნებში გადაიყვანონ წვრილი სახელოსნოებიდან კვალიფიციური მუშები, ამუშაონ ტუსაღები და სხვა და სხვა გუბერნიებიდან მუშები ჩამოიყვანონ. განსაკუთრებით, მძიმე გავლენას ახდენს წარმოების მსვლელობაზე შრომის ნაყოფიერების საშინელი დაცემა.

# უცხოეთი

(საინფ. ბიურ. ცნობა.)

**შრომის აკადემია.**

მაინის ფრანკფურტში ამ მოკლე დროში დაარსებული იქნება შრომის აკადემია, რომლის მიზანსაც შეადგენს: მუშების, მოსამსახურეების და წვრილი მოხელეების რჩეულ წარმომადგენლებისათვის იმგვარი განათლების მიცემა, რომ ისინი თავის პროფეს. ორგანიზაციების ღირსეულნი ხელმძღვანელნი შეიქმნენ. აკადემიაში მიიღებენ პროფ. კავშირთა მიერ წარდგენილ კანდიდატებს. აკადემიაში დანიშნული იქნება აგრეთვე მისაღები გამოცდები. აკადემიის კურსი იქნება ორ წლიანი. პირველ წელში მსმენლები საერთო განათლებას მიიღებენ, შემდეგ კი სპეციალისტურს იმისდა მიხედვით, თუ ვის რა სურს და რა შეუძლია. აკადემიაში იქნება 3 ფაკულტეტი. პოლიტიკური, პროფესიონალური და ტეხნიკური. საერთო განათლების კურსზე ასწავლიან საერთაშორისო და საადმინისტრაციო უფლებებს, პოლიტიკას, პოლიტიკურ ეკონომიას, სახალხო მეურნეობას, კანონმდებლობას და სხვ.

---

**დროებითი ზავი რიგაში.**

რუსეთსა და პოლონეთს შორის დროებითისა და წინასწარ ზავზე რიგაში ოქტ. 14, ხელი მოაწერეს დომბსკიმ და იოფფემ. პირველ მუხლში ცხადდება უკრაინისა და ბელორუსის დამოუკიდებლობა და აღნიშნულია საზღვარი რუსეთსა და პოლონეთის შორის. ხელშეკრულება გულისხმობს, აგრეთვე მას, რომ მტრული მოქმედება ოქტომბრის 18 შეწყდება. პოლონეთი პირობას იძლევა, დახმარება არ გაუწიოს შეიარაღებულ ძალებით საბჭოთა მთავრობის მტრებს.

სტამბოლიდან მოსული დეპეშის თანახმად ვრანგელის შეტევა სასურველად გრძელდება. მისმა ჯარმა დაიჭირა ნიკოპოლი. წამოიყვანა 3000 ტყვე, ხელთ იგდო 8 ზარბაზანი, 6 ჯავშნიანი ავტომობილი. ჩრდილოეთით (დამახინჯებულია) თავრიდთან გაიმარჯვეს, დაამარცხეს საბჭოთა მე-9 და მე-42 დივიზიები და წითელ მეზღვაურთა ორი დივიზია. ხელთ იგდეს 4000 ტყვე და 12 ზარბაზანი.

**ინგლისში მემადაროეთა გაფიცვა.**

შაბათს, ყველა სამრეწველოებში დაიწყო მემადაროეთა გაფიცვა. ღამე მომუშავეებმა მუშაობა დასტოვეს, თან წაიღეს იარაღები, ისინი კი ვინც მათ მაგიერ უნდა მოსულიყო არ გამოცხადდნენ. ლოიდ ჯორჯმა პრესის საშუალებით მიმართა ხალხს განცხადებით, რომ არ შეიძლება ოდნავი ეჭვიც კი არსებობდეს ბრძოლის შედეგის შესახებ და ხალხმა გაფიცულებს წინააღმდეგობა უნდა გაუწიოსო. იუწყებიან, რომ მცხოვრებთა ყველა კლასიდან მოდიან მოხალისენი, მთავრობას დახმარებას პირდებიან და ავტომობილებს აწოდებენ სურსათ-სანოვაგით მცხოვრებთა უზრუნველსაყოფად.

**პეტროგრადის მცხოვრებთა რიცხვი.**

„ტანი“ იუწყება: პეტროგრადის წითელი გაზეთის ოფიციალურ ცნობების მიხედვით ამ ჟამად პეტროგრადში ირიცხება 296,000 მამაკაცი და 410,000 ქალი. 1916 წ. კი მცხოვრებთა რიცხვი სამ მილიონს უდრიდა.

**მილიერანის განცხადება.**

მილიერანმა გერმანიის ელჩის მიღების დროს განაცხადა: გერმანიის მიერ ვერსალის ხელშეკრულების პირობების ლოიალურად ასრულება არის ერთად ერთი საშუალება იმ სიძნელეთა გადასალახავად, რომელიც საფრანგეთსა და გერმანიას შორის მეგობრულ განწყობილების დამყარებას ხელს უშლისო.

**მახნოს ახალი ღალატი.**

კრაკოვიდან იუწყებიან მახნოს ახალ ღალატის შესახებ. მისი ცხენოსანთა რაზმები მცხოვრებთა დახმარების წყალობით ხარკოვს უახლოვდებიან. მახნოს პარტიზანებმა ნიკოლაევ-ზნამენკას რკინის ხაზზე სად. დოლინსკაია აიღეს. წითელმა ჯარებმა ნიკოლაევი დასტოვა.

**საბჭოთა წარმომადგენელი გერმანიაში**

ეკონომიური ცხოვრება იუწყება: ბერლინში მყოფმა საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელმა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს მიმართა ნოტით, სადაც აღნიშნულია ანტანტის სახელმწიფოთა წარმომადგენლების მიზანი, რომ რუსეთის საზღვარზე გადასულ ჯარების კანტროლის დაწესების საბაბით გაეცნონ რუსეთის ჯარების შეიარაღებას და მათ მატერიალურ მდგომარეობას. რუსეთის მთავრობას იმედი აქვს, რომ გერმანიის მთავრობა სისწორით აღასრულებს თავის საერთაშორისო ვალდებულებებს და შეუძლებლად გახდის ნეიტრალიტეტის დარღვევას.

---

# ვრანგელის გარშემო.

**მახნო და ვრანგელი.**

როგორც ვიცით ფრანგული პრესა ძლიერ ბევრს ლაპარაკობდა მახნოსა და ვრანგელის შორის კავშირზე. საბჭოთა პრესამაც გამოაქვეყნა თავის დროზე დოკუმენტები, რომლებიც ამტკიცებდენ ვრანგელსა და მახნოს შორის არსებულ ფორმალურ კავშირს ამ ჟამად აშკარავდება ამ ინფორმაციის სიყალბე. უეჭველია, რომ მახნო ფაქტიურად ეხმარებოდა ვრანგელს, ისე როგორც პოლონეთის შლიახტას, ეხმარებოდა იმდენათ, რამდენად იგი საბჭოთა ჯარის წინააღმდეგ იბრძოდა. მაგრამ ფორმალური კავშირი მახნოსა და ვრანგელის შორის არ ყოფილა. ვილაც ყირიმის ბანდიტი, რომელიც თავის თავს ატამან ვულოდინს უწოდებს, ვრანგელის შტაბის ხელმძღვანელობით მახნოს ხელქვეით ატამანის სახელით გამოვიდა. ნამდვილათ მათ შორის არავითარი კავშირი არ ყოფილა. ყველაფერი ეს მახნოს დამცველ საფრანგეთის და სხვა იმპერიალისტების მოსატყუებლად ჩაიდინეს.

…მოდენიმე კვირის უკან ვრანგელმა მართლა …და დაეჭირა მახნოსთან პირდაპირი კავ…ირი და მის შტაბში მოსალაპარაკებლად …რი თავისი წარმომადგენელი გაგზავნა. სა…ჩრეთის ფრონტის რევოლიუციონურ საბჭოს …ელევატებს შეძლება ქონდათ დარწმუნებუ…იყვნენ იმაში, რომ მახნოვლებს არა თუ … გაუმართავთ მოლაპარაკება ვრანგელის …რმომადგენლებთან, არამედ საქვეყნოთ ჩა…ახრჩვეს ისინი. სწორედ ამ ფაქტმა—ვრან…ლის ცდამ დაეჭირა მახნოსთან პირდაპირი …ვშირი—დაანახვა მახნოვლებს მთელი უარ…ოფითი მხარეები მათი საბჭოთა მთავრობის …ინააღმდეგ ბრძოლისა. მალე ამის შემდეგ …ხნომ მიმართა სამხრეთ სარდლობას შუამ…გომლობით ვრანგელის წინააღმდეგ შეერ…ებული ძალით ბრძოლის შესახებ. ეს წინა…დება მიღებულ იქნა. ამ ჟამად მახნოს რა…მი ასრულებს სამხედრო დავალებებს სამხ…ეთი ფრონტის სარდალის ამხ. ფრუიძის …რდაპირ ხელმძღვანელობით.

**სემიონოვმა იცნო ვრანგელი**

…ატამანმა სემიონოვმა, რომელიც თავის ბა…დებით აღმოსავლეთ ციმბირში მოქმედებს, …ნ. ვრანგელს აცნობა, რომ იგი აღიარებს …ს ძალა უფლებას და რჩება აღმოსავლეთ …ეთის ადგილობრივ მთავრობის სათავეში.

**შავი ძალები ერთდებიან.**

ბარონი ვრანგელი, პეტლიურა, კერენსკის …ფილი თანაშემწე სავინკოვი და გენ. ვო…ოხოვიჩი მოლაპარაკებას აწარმოებენ თავის …ლების გაერთიანების და საბჭოთა რუსე…ის წინააღმდეგ შეერთებულ ბრძოლის შე…ხებ. გრაფი პალენი იმავე მიზნით იუდენი…ს არმიის ნაწილებს აგროვებენ.

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

**ფრანგული ცნობები.**

**გერმანიის შტაბის ორგანიზაცია.**

„პტი-პარიზიენი“ იუწყება სილეზიაში გე…მანიის მთავარი შტაბის მიერ ორგანიზაციის …ოწყობის შესახებ და სწერს. ამგვარ მზადე…ს დროს ჩვენ წინ სდგება საკითხი. რა მი…ნებს ემსახურება გერმანია? საბოლოო მი…ნია, რასაკვირველია, სილეზიის შენარჩუ…ბა რათაც არ უნდა დაუჯდეთ იგი. თუ …უდგომლად განვიხილავთ მდგომარეობას …მდეგ დასკვნამდე უნდა მივიდეთ: 1) გერ…ნიამ უკვე დიდი ხანია, რაც საპლებისცი…ო ტერიტორიის ხელში ჩაგდება მოამზადა; …) იმ შემთხვევაში, თუ პოლონეთი დამარც…დებოდა, ყოველივე გათვალისწინებული იყო, …ომ პოლონელები და საფრანგეთის ჯარი …მოედევნათ; 3) ყველაზე უფრო დიდი ერე…ლობა მოხდა იმ დროს, როდესაც ვარშავა…ში რუსების შესვლის ცნობა მივიდა; 4) სამ…ედრო შეთქმულების გეგმა დაწვრილებით …ყო შემუშავებული და (მიუხედავათ იმისა, …ომ ძლიერ სურდათ დაეფარათ) პლებისცი…ი, რომ გერმანიისთვის სასურველათ არ …ასრულებულიყო აუცილებლათ გამოვიდოდნენ …რაღით ხელში და ამას თითქოს მცხოვრე…თა სურვილით მომხდარ აჯანყების ხასიათს …სცემდნენ.

…მიმდინარე საქმეებს გარდა ანაზღაურებისა …ომისია უკანასკნელ ხანებში იხილავდა ორ …თავარ საკითხს: ზარალის გამოანგარიშებისა …ა ნახშირის მოწოდების საკითხს, რომელიც …ერმანიას სპაში მომხდარ შეთანხმების თა…ხმად უნდა აღესრულებია. კომისია სწერს: …პტი პარიზიენი“, ახსენებს რა დაინტერესე…ულ მთავრობებს თავის წინანდელ თხოვნას, …თხოვს მათ ნოემბრის 1-მდე მიაწოდონ მას. …აც შეიძლება სწორი ანგარიში, (სტატის…ტიკური ცნობების თანახმად) იმ ზარალისა, …ომელიც ხელშეკრულებაში ნაგულისხმევ …თავარ კატეგორიებში შედის. რაც შეეხება …ახშირის მიწოდებას, კომისიამ გერმანიის …თავრობასთან (წარმომადგენელ ბერგმანთან) …აძდო დროებითი შეთანხმება, რომლის ძა…ლითაც გერმანიას მიეცემა სპის კონფერენ…ციაზე მიღებული ავანსი ნახშირის ნაწილობ…რივ მიწოდების მაგიერ. კოქსი და ნახშირი, …რომელიც გერმანიამ 1920 წლ. სექტემბერში …მოკავშირეებს მიაწოდა აღწევს 1.936.865 …ტონს, ე. ი. იმ რაოდენობის 97%, რომე…ლიც ხელშეკრულებაშია აღნიშნული.

**გერმანული ცნობები**

**მილლერის განცხადება.**

…მეუმრავლესე სოციალისტების პარტიის მი…თინგზე ხელახლად არჩეულმა ყოფილმა პრე…ზიდენტმა გერმან მილლერმა განაცხადა, …რომ პარტიის კომიტეტის დადგენილებით …რც ერთ მინისტრს არ შეუძლია კომიტეტის …მევრობა.

**ლიონის ცნობები**

**ზემო სილეზიელები პანგერმანისტების წინააღმდეგ.**

ზემო სილეზიაში მცხოვრებ პოლონელების დიდი მიტინგი, რომელიც 3000 კაცისაგან შესდგებოდა მოხდა ბერლინში ზემო სილეზიაში მყოფ გერმანელ მართველ პირების პროვოკაციის წინააღმდეგ პროტესტის გამოსაცხადებლად. ერთერთი ორატორთაგანი მიესალმა პოლონეთის ჯარს, რომელმაც იხსნა ბალშევიზმის შემოსევისაგან. დასასრულ მიტინგმა მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც იგი კიცხავს გერმანიის პოლიტიკას ზემო სილეზიაში და ესალმება პოლონეთისა და საფრანგეთის მოქმედებას.

# სომხეთი და საბჭოთა რუსეთი.

სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ საბჭოთა რუსეთის სომხეთში მყოფ სრულ უფლებიანმა წარმომადგენელმა ბ. ლეგრანმა 13 ოქტომბერს მიმართა სომხეთის მთავრობას ნოტით, რომელშიაც წამოყენებულია ორი დებულება, რომლის შესრულების შემდეგ შესაძლებელია ხელშეკრულების დადება სომხეთს და საბჭოთა რუსეთს შორისო.

1) თავისუფლად უნდა გაატარონ სომხეთის ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარები და სამხედრო იარაღი და ამით საშუალება მიეცეს საბჭოთა ჯარებს შეუერთდნენ მუსტაფა ქემალის არმიას—ანტანტის წინაღმდეგ საბრძოლველად.

2) სევრში დადებულ ხელშეკრულების უარისყოფა. სევრისის ხელშეკრულება, რომელიც დაიდვა 10 აგვისტოს მოკავშირეებს და ოსმალეთის შორის და რომელსაც ხელი მოაწერა სომხეთის წარმომადგენელმა ავ. აგარონიანმა მდგომარეობს შემდეგში: ყოფილ რუსეთის სომხეთს უნდა შეერთებოდა ვანის ბითლისის, ერზერუმის და ტრაპეზუნდის ვილაეთები. სომხეთის პასუხი ნოტაზე ოფიციალურად არ მოსულა ტფილისში, მაგრამ არის ცნობები, რომ სომხეთის მთავრობამ უარყო ლეგრანის წინადადებაო/ („სლ.“).

# სომხეთში

ერევანი. ოქტ. 15. მთავრობამ გამოაქვეყნა კანონი, რომლის ძალითაც სომხეთის მცხოვრებთ ედება სახელმწიფო თავდაცვის გადასახადი რომელიც $2^1/_2$ მილიარდ მანეთს უდრის. ერევანზე 246 მილიონი მან. მოდის. ალექსანდროპოლზე 120 მილიონ მანეთი. ყარსზე 45 მილ. მანეთი.

# ახალი ამბები

✦ **ქალაქის საბჭოში**, ორშაბათს 18 ოქტომბერის სხდომაზე ქალაქის საბჭომ სამოსახლო ადგილების მოიჯარადრეებთან საიჯარო ხელშეკრულების განახლებაზე დაადგინა რომ მოიჯარადრეებთან განაახლოს ვადა მხოლოდ მოკლე დროით. იჯარის გადახდა უნდა ხდებოდეს წელიწადში ორჯერ 1 იანვარში და 1 ივლისში. გადასახადი გადიდდება 50 მეტჯერ სასურსათო საკითხზე მოხსენება გააკეთა ბ-ნმა ფანიაშვილმა. საკითხები: საბჭოს თავმჯდომარის ალექსანდრე ლომთათიძის განცხადების, ქალაქის მდივნის არჩევის და ქართველ კათოლიკეთა მზრუნველობის საჩივარი ქალაქის გამგეობაზე საბჭომ შემდეგისთვის გადასდო გასარჩევად.

✦ **ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოში.** ოქტომბრის 11 ქარელში მოქმედება დაიწყო ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებამ.

✦ **გერმანიის მისიაში.** გერმანიის დიპლომატიურმა-წარმომადგენელმა გრ. დრიუფელმა ავსტრიის წითელი ჯვრის დელეგატ ექიმ ფორმანოკთან და გერმანიის სამხედრო ჰოსპიტალის მთავარ ექიმ მერტცვალერთან ერთად ინახულა კათოლიკური სასაფლაო, სადაც დამარხულია 58 გერმანელი და ავსტრიელი ჯარის კაცი. მიღებულია ზომები სასაფლაოთა წესიერ მოსავლელად.

✦ **სამხედრო მინისტრის დაბრუნება.** დაბრუნდა შვებულებიდან სამხედრო მინისტრი გრ. ლორთქიფანიძე.

✦ **ქალაქთა კავშირში.** ქალაქთა კავშირმა აცნობა ქალაქის თვითმართველობებს, რომ მის მიერ შეძენილია ნ. ჟორდანიას სრული თხზულებანი და ამიერ ~~კავკასიის მუშათა და ჯარის-კაცთა~~ დეპუტატების სხდომების ოქმები. ამ გამოცემათა მიღება შეიძლება ქალაქთა კავშირში.

✦ **ეკონომიური თათბირი.** პარასკევს ოქტომბრის 22 საღამ. 5 საათზე ქალაქის საბჭოს დარბაზში შესდგება ს. დ. პარტიის ეკონომიური თათბირის სხდომა. თათბირში შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ შემდეგ პარტიულ ორგანიზაციებს: ც. კ. ს. დ. მ. პ. საკანტროლო კომისიას, ტფილისის კომიტეტს, პარტ. რაიონულ კოლექტივებს, ქვეკოლექტივებ-ს პროფ. კავშირ. აღმასრულკომიტეტში მომუშავე პარტიის წევრებს დამფ. კრების სოც. დემ. ფრაქციას და იმ პარტიის წევრებს, რომლებიც კავშირის ქალაქების, ერობების და კოოპერატივების კომიტეტებში მუშაობენ.

✦ **გენ. ვრანგელის მეხანათურ თავდასხმ.** და შავი ზღვის ნაპირებზე სროლის საპასუხოთ, რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, მთავრობის დადგენილობის თანახმად აპატიმრებენ იმ მოქალაქეთ, რომლებიც გენ. ვრანგელის მიერ დაჭერილ ტერიტორიიდან ჩამოვიდნენ.

✦ **ე. პ. გეგეჭკორი ელისეის სასახლეში.** თანახმად პარიზიდან მიღებულ დეპეშისა, ოქტომბრის პირველ რიცხვებში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ე. პ. გეგეჭკორი მიუღია ელისეის სასახლეში საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს, ხოლო შემდეგ საფრანგეთისავე მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ბ-ნ ლეიგს. ორივე აუდიენციას ჰქონია საქართველოსადმი დიდი სიმპატიისა და კეთილგანწყობილების ხასიათი.

✦ **სახალხო გვარდიის ყრილობა:** ტფილისში აგვ. 24, იხსნება სახალხო გვარდიის მეორე ყრილობა. პროგრამაში შემდეგი საკითხებია: 1. პოლიტიკური მომენტი. 2. მთავარი შტაბის მოხსენება თავის მოქმედების შესახებ, 3. მთავარ შტაბის განყოფილების მოხსენება, 4. სახალხო გვარდია, როგორც სამხედრო და სამეურნეო ორგანიზაცია, 5. დისციპლინა და სახალხო გვარდიის პასუხისმგებლობა. 6 სახალხო გვარდიის ძირითადი კანონების განხილვა და შეცვლა. 7. სახალხო გვარდიის დებულებებში ცვლილების შეტანა. 8. შტაბისა და ნაწილების უფროსებს შორის ურთიერთს დამოკიდებულება. 9. შტატების განხილვა, 10 ფორმა გამოსარჩევი ნიშანი და სხვა ნიშნები ომში გამოჩენისთვის, 11. მიმდინარე საკითხები, 12 მთავარ შტაბის წევრთა არჩევნები.

# ეროვნულ საბჭოთა გაერთიანება.

რუსთა ეროვნულმა საბჭომ სომხების ეროვნულ საბჭოს წარუდგინა მოხსენება საქართველოში არსებულ ყველა ეროვნულ საბჭოს გაერთიანების შესახებ. გაერთიანების საჭიროება დასაბუთებულია მით რომ ეროვნულ უმცირესობათა უფლებების შესახებ კანონის მომავალ დამტკიცების შემდეგ დაიბადება აუცილებლობა ზოგიერთ საერთო კულტურულ განმანათლებელ საკითხების გადაჭრისა, ეს კი შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში არსებული ეროვნული უმცირესობანი შესათანხმებლათ იმოქმედებენ. დღიურ წესრიგში სდგას უმაღლესი განათლების საქმე. საჭიროა მცხოვრებთა მუშაობა უმცირესობის თვითმოქმედების გასაძლიერებლად ერობებისა და კოოპერატივების საშუალებით. რუსთა ეროვნულ საბჭოს წინადადება განიხილა სომეხთა ეროვნულმა საბჭომ და პრინციპიალურად მიიღო იგი. აირჩიეს ორი წარმომადგენელი, რომლებიც დანარჩენ საბჭოების წარმომადგენელთან ერთად განიხილავენ საკითხს ეროვნულ უმცირესობათა საჭიროების დასაკმაყოფილებლად მომავალ სასწავლებლის ტიპის შემუშავების საკითხს.

# მუშათა ცხოვრება

**სკოლის გარეშე განათლება.**

მუშათა სასახლეში განახლდა მეცადინეობა შკოლის გარეშე განათლების საზოგადოების კურსებზე. მეცადინეობა რუსულსა და ქართულს ენებზე ყოველდღე საღამოს 6 საათ. 9 საათამდე სწარმოებს. კურსებზე ჩაწერის მსურველი ბევრია, მაგრამ საჭირო ბინების უქონლობის გამო მსურველთა მიღება განსაზღვრულია.

**პროფესიონალური ცხოვრება.**

პროფ. კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატმა დაადასტურა „სურსათ-სანოვაგის“ კავშირთა მუშების დადგენილება რკინის გზის ფურნეთა იმ მუშების სამსახურიდან დათხოვის შესახებ, რომელთაც მათდამი კუთვნილ ფულის რაოდენობის გამორკვევის დროს, კავშირისადმი შეუტყობინებლად შესწყვიტეს ფურნეებში მუშაობა და ამგვარათ რკინის გზის მუშები და მოსამსახურეები იმ დღეს უპუროდ დასტოვეს.

პროფ. კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატმა კვლავ დაადასტურა თავისი დადგენილება იმის შესახებ, რომ შრომის ბირჟამ ყველაზე უწინ სამუშაო მისცეს კავშირის წევრებს და შემდეგ სხვა უმუშევართ.

სეკრეტარიატის ცნობით ბაზრის კონტროლიორებს ვაჭრებისათვის შეუდგენიათ 3,319 ოქმი.

# ილია . წინამძღვრიშვილის ფონდი.

**საქართველოს მოქალაქეთ, კერძო პირთა და საზოგადოებათა საყურადღებოდ.**

მიმდინარე წლის ენკენისთვის 2-ს გარდაიცვალა ყველასათვის კარგად ცნობილი, საზოგადო მოღვაწე და იშვიათი მამულიშვილი ილია ივანეს ძე წინამძღვრიშვილი.

იურიდიული ცოდნით აღჭურვილი, ჯერ ახალგაზდა მომრიგებელი მოსამართლე დიდი ადგილ-მამულის პატრონი. ილია გამოდის საზოგადო ასპარეზზე სამუშაოდ სწორედ იმ დროს, როცა მის წრის შეძლებული ახალგაზრდობა სრულიად არ ფიქრობს ხალხის კეთილ დღეობაზე. იმ დროს, როდესაც თვითმპყრობელი მეფის ადგილობრივი მთავრობა ხელოვნურ პირობებს ჰქმნიდა ქართული ენის სკოლიდან განსადევნად და საგანგებოდ რუსეთიდან მოწვეულ „ჩინოვნიკების“, ამ ნამდვილი ჯალათების, საშუალებით სულს უხუთავდა ყოველივე ეროვნულს. განსვენებული ილია საძირკველს უყრის პირველს და მასთან სამაგალითო გეგმით აგებულს ეროვნულ სკოლას, რომელსაც სწირავს მთელ თავის ქონებას, თავისუფალ დროს, ცოდნა-გამოცდილებას და უნარს: 32 წლის განმავლობაში იგი ნამდვილი მამის მსგავსად თავს დასტრიალებს საყვარელ სკოლას და ხელმძღვანელობას უწევს მას.

გულწრფელი და უანგარო მოღვაწის შრომა ჯეროვანი ნაყოფითაც დაგვირგვინდა: წინამძღვარიანთ კარის სკოლას არა ერთი და ორი პრაქტიკული მოღვაწე მიუცია მშობელ ერისთვის.

მუდმივი შრომითა და მოღვაწეობით დაღლილი ილია მოხუცებულობის ჟამს საყვარელ სკოლას შენობებით და მთელის ინვენტარით, რომლის ღირებულება ამ ჟამად მილიონობით განისაზღვრება, სახელმწიფოს სწირავს.

საზოგადოების წარმომადგენელთა კრების მიერ არჩეულმა კომიტეტმა, რომელსაც მინდობილი ჰქონდა განსვენებულის ნეშტის დაკრძალვის საქმის მოწესრიგება, გადასწყვიტა ამ ხალხში სასოფლო სამეურნეო ცოდნის გავრცელების მესვეურის და თავდადებულ მოღვაწის ხსოვნის აღსანიშნავად დაარსოს განსვენებულის სახელობის სპეციალური ფონდი, რომლის დანიშნულების საბოლოოთ გამორკვევა მოხდება საგანგებო კრებაზე.

კომიტეტი მიმართავს მოწოდებით კერძო პირთ, ბანკებს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს გაიღონ თავიანთი წვლილი ილიას სახელობის ფონდის გასაძლიერებლად.

შემოწირვა შეიძლება შემდეგი მისამართით: ნინოშვილის ქ. № 5 ქართული სასოფლო სამეურნეო საზოგადოება: ზ. ბილანიშვილს.

კომიტეტის თავმჯდომარე—წარმომადგენელი ქართულ და კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებათა ს. ნ. ყაზახიშვილი.

კომიტეტის წევრნი: წარმომადგენელი სახალხო განათლების სამინისტროსი ა. მიქაბერიძე, წარმომადგენელი მიწათ-მოქმედების სამინისტროსი თ. მეგრელიშვილი, წარმომადგენელი წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოებისა და მასწავლებელთა კავშირის ბიუროსი ვ. ბურჯანაძე, წარმომადგენელი კულტურ-ტეხნიკურ სასწავლებლისა ი. ვ. გამყრელიძე, წარმომადგენელი ცენტრო-ბანკისა პ. ა. გოთუა, წარმომადგენელი წინამძღვარიანთ კარის სკოლის ნამოწაფართა მ. მამულაშვილი.

მდივანი კომიტეტისა—წარმომადგენელი მევენახეთა და მეღვინეთა ყრილობათა საბჭოსი გ. წინამძღვრიშვილი.

# რკინის გზაზე

**რკინის გზის საავადმყოფო.**

გზათა მიმოსვლის დეპარტამენტში შეტანილია პროექტი რკ. გზის საავადმყოფოსთან მშობიარეთა თავშესაფრის დაარსების შესახებ. საკითხი ამის შესახებ წინეთ აღძრული იყო მთავარი სახელოსნოების აღმასრულებელ კომიტეტის მიერ. თავშესაფარის მოსაწყობად გამოთხოვილია 1.505.570 მან.

**რკინის გზის ბილეთები.**

რკინის გზის დეპარტამენტში შეტანილია საკითხი საჭირო თანხის გადადების შესახებ

რკინის გზის სახაზინო ტიპო-ლიტოგრაფიასთან განსაკუთრებულ შენობის ასაგებად, სადაც დაიბეჭდება სამგზავრო და მოსამსახურეთა ბილეთები და ბლანკები.

## ტფ. ქალაქის თვითმმართველობაში

**უკანასკნელი დადგენილებანი.**

— ქალაქის საკანცელიარიო მარკების ფასი „(პოშლინა)“ 1 მან. 20 კაპ. გამგეობამ გაადიდა 5 მანეთამდის.

— გამგეობის წევრს ხახანაშვილს დაევალა რომ მან გამართოს მოლაპარაკება ბაგრატიონ მუხრანსკებთან რათა შეძენილ იქნეს ქალაქის საჭიროებისათვის მათი მამული რომელიც მდებარეობს მადათოვის კუნძულზე.

— თანახმად ინჟენერ პოზოევის მიერ შედგენილ ხარჯთ-აღრიცხვისა გამგეობამ გადასდო 1200,016 მანეთი ქვაფენილის გასაყვანად ორთაჭალის უბნის სახალხო გვარდიის შტაბთან არსებულ საზაფხულო მუშათა კლუბის შესავალთან.

— ქალაქის სულით ავადმყოფთა თავშესაფარის ზამთარისათვის სანოვაგის და შეშის შესაძენად ქალაქის გამგეობამ გადასდო ორასი ათასი მანეთი.

— ქალაქის პირველ საავადმყოფოს აფთიაქის მედიკამენტების შესაძენად გამგეობამ გადასდო ხუთმეტი ათასი მანეთი.

— ზუბალაშვილების სახელობის სახალხო სახლში სახურავის ხელახლად ასფალდოვან გადასახურის შესაკეთებლად გადაიდო სამასი ათასი მანეთი.

— ქალაქის აბანოებში შესასვლელი ფასები გადიდებულ იქნება. ყველა ქალაქის აბანოების კასები მოეწყობა მხოლოდ ორ ალაგას რის გამოც დათხოვნილ იქნება ექვსი კასირი სამსახურიდან სალიკვიდაციო ხვედრის მიცემით. ირაკლის აბანო რემონტის გამო დროებით დაიხურება. ყველა აბანოებისთვის შეძენილ იქნება საჭირო თეთრეულობა.

## ხელოვნება

**მილოცვები სეზონის გახსნის გამო.**

ქართული დრამის დირექციამ სეზონის გახსნის გამო მიიღო შემდეგი დეპეშები: 1) ქუთაისიდან: ქუთათური დასი სულით და გულით გილოცავთ სეზონის დაწყებას. ამიერიდან დედა ქალაქს მოვლენოდეს თქვენი საზრისიანი მუშაობით ღირსეული აკადემიური ქართული თეატრი.

საპასუხოდ გაიგზავნა შემდეგი დეპეშა: მადლობას გიძღვნით მილოცვისათვის, იმედი გვაქვს თქვენის დახმარებით აღვადგენთ ჩვენ ყველასათვის ძვირფას თეატრს.

2) ტფილისიდან: გილოცავთ ქართული დრამის სეზონის გახსნას. ამხანაგ მსახიობთ ვუსურვებ წარმატებასა და ენერგიულ მუშაობას ჩვენთვის ძვირფასს ხელოვნების დარგში. ბედნიერი იყოს თქვენი მუშაობის დასაწყისი. რუსული დრამის რეჟისორი: ტუგანოვი.

საპასუხოდ გაიგზავნა შემდეგი დეპეშა ტუგანოვს.

ქართული დრამის რეჟისორთა კოლეგიის სახელით გულწრფელ მადლობას გიძღვნით მილოცვისათვის და გთხოვთ გადასცეთ რუსული დრამის მსახიობთ ჩვენი მხურვალე წადილი ჩვენთან ერთად ნაყოფიერ და ხალისიან მუშაობისა ჩვენს საერთო ხელოვნების ტაძარში.

## პატიმრების მუშაობა.

იუსტიციის სამინისტრომ შეიმუშავა კანონ-პროექტი ტუსაღებთა სწავლა განათლების და სამუშაოს მოწყობის შესახებ. კანონ-პროექტის მთავარი პრინციპია დამნაშავეთა გამოსწორება სწავლა განათლების მიცემით, ხელობის შესწავლით და შრომის შეჩვევით. სამუშაოს ექნება მიქცეული კანონ-პროექტის ძალით განსაკუთრებული ყურადღება: ამ მიზნით არსდება სახელოსნოები საპყრობილეებში და აგრეთვე ეწყობა სამუშაოები ციხის გარეთ. ხელფასი მიეცემა ტუსაღებს თითქმის ნორმალური. ამ ხელფასის ნაწილი წავა მომუშავეთა სახარჯოთ და სამუშაოების მოსაწყობად, დანარჩენი ნაწილი კი შეენახება მათ და მიეცემათ ციხიდან განთავისუფლების შემდეგ. პატიოსან შრომისათვის დატუსაღებულთ ეძლევათ შეღავათი ვადის $1/4$—$1/6$-მდე შემცირებით იმის გარდა რაც წინასწარ განთავისუფლების კანონით არის მიღებული.

## ფოსტა-ტელეგრაფში

**სია ჩაუბარებელი დეპეშებისა 14 ოქტომბერს.**

სადახლოდან—გველესიანს; საჩხერიდან—იოსელიანს; ალექსანდროპოლიდან—მარკოვიჩს; ზუგდიდიდან—ინარიშვილს; ალექსანდროპოლიდან—სობჩარიას; გალიდან—თოდუას, სუხუმიდან—გერაკის; იქიდანვე—მალშევს; ეკატერინოვკიდან—აკიმოვს; ერევნიდან—სააკიანს; ბათუმიდან—პოლიაკოვას; ზუგდიდიდან—ჩაჩიბაიას; ოზურგეთიდან—სერებრიაკოვს; ერევნიდან—სკოვინოვს; გრაკლიდან—მანაზიევისას; კარაკლისიდან—ტრანიანს; ზუგდიდიდან—ბუკიას; ახალქალაქიდან—დანშკოს; ხარაგოულიდან—თაბუკაშვილს; არდაგანიდან—მაისურაძეს; სადმელიდან—კიკვიძეს; ახალგაგრიდან—უმფერკოვს.

## მილიციაში

— სისხლის სამართლის მილიციის უფროსი სთხოვს ყველა იმ პირთ ვინც იცის რაიმე ცნობა იმ გვამის შესახებ, რომელიც ნაპოვნი იყო ოქტომბრის 11-ს საღამოს 6 საათზე კიროჩნის ქუჩაზე, მობრძანდენ სისხლის სამართლის მილიციის შენობაში და ამით ხელი შეუწყონ ნაპოვნ გვამის ვინაობის გამორკვევას.

— ოქტომბრის პირველ რიცხვებში სადგურ მიხაილოვის და გორის შორის ტატიანა დანიელის ასულის ჩხეიძეს ვაგონიდან მოჰპარეს აბგა, რომელშიც ეწყო 224.000 მანეთის ღირებულების ნივთები. მილიციის მოხელეების მიერ ეჭვით შეიპყრობილ იქმნენ: ვინმე შალვა ჩოძახიძე, არტემი მასხულია და ვიქტორ გოგელია. ყველა ეს ზემო დასახელებული პირები თავის დანაშაულობაში გამოტყდნენ. ყველა განაქურდი ნივთები გადაეცა პატრონს.

— 15 ოქტომბერს ნინო ალექსის ასულმა პეპინოვმა განაცხადა სისხ. სამ. მილიციაში რომ ის გაქურდეს და მის ბინიდან წაიღეს 200.000 მ ნივთები. გამოძიების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს გაქურდვა მოეწყო პეპინოვის შვილსავე. დამნაშავე გამოტყდა. ყველა ნივთები გადაეცა პატრონს.

## სია

**1900 წ. დაბადებულთა, რომლებიც არ იქნენ შეტანილი ამა წლის ჯარში გასაწვევ პირთა სიაში მოუძებნობის გამო.**

### ა.

1) ავეტისიანცი არშაკ კარაპეტას ძე. 2) ადამიანცი გრიგოლ ალექსანდრეს ძე. 3) არუთინიანცი აკოფ კარაპეტას ძე. 4) არუთინიანცი ტიგრან აბრამის ძე. 5) ანდრიასიანცი ნიკოლოზ მიხეილის ძე. 6) ასლამაზოვი კარაპეტ ბაგრატას ძე. 7) ასლანოვი გიორგი ნიკოლოზის ძე. 8) ანიკიევი ივანე გიორგის ძე. 9) ალიფანოვი სერგო ივანეს ძე. 10) ავაქოვი გიორგი კარაპეტას ძე. 11) ამიროვი არშაკ ისაკას ძე. 12) ალდინოვი ნიკოლოზ ქრისტეფორის ძე. 13) არეშკინი ალექსანდრე მიხეილის ძე. 14) ავაზიანცი არამ კარაპეტას ძე. 15) არუშანიანცი სტეფანოს ოვანესას ძე. 16) არუთინიანცი გევორქ სედრაკას ძე. 17) აკოფიანცი ნიკოგაიოს სარქისას ძე. 18) ასლამაზიანცი სარქის ალექსის ძე. 19) არაქელიანცი ოვანეს ოვანესის ძე. 20) ავაქიანცი მკრტიჩ მოსეს ძე. 21) აგამირიანცი გევორქ მოსეს ძე. 22) ახვერდიანი ოვანეს ალექსანდრეს ძე. 23) აკოფიანცი არშაკ აირაპეტას ძე. 24) ალაჯანიანცი გევორქ დავითის ძე. 25) ანდრიასიანცი სიმონ ისაკას ძე. 26) არუთინიანცი კარაპეტ სკანდარის ძე. 27) ავაქიანცი ბაგრატ მანუკას ძე. 28) არზუმელიანცი ვასო მოსეს ძე. 29) ანტონიანცი ოვანეს ლევანის ძე, 3) აკოფიანცი ერევანდ ხეჩოს ძე, 31) აბრამიანცი შაქრო სარქისას ძე, 32) ავეტიკიანცი არტაშეს სარქისას ძე, 33) არუთინიანცი ეგიაზარ ეგიაზარის ძე, 34) არაქელიანცი ხაჩატურ ალექსის ძე, 35) არუთინიანცი მიქაელ მარკოზის ძე, 36) ასტვაცატურიანცი რუბენ ოვანესას ძე, 37) ავაქიანცი მინას მიხეილის ძე, 38) ავეტისოვი ნიკოლოზ გიორგის ძე, 39) ადუაშვილი გიორგი აბრამას ძე, 40) აფანასიევი ევგენი, 41) არალკინი პეტრე ესტატეს ძე, 42) ანენკოვი ბორის პეტრეს ძე, 33) ავტონომოვი კონსტანტინე იაკობის ძე, 44) აპრეს ოვიოლანეზ სერგოს ძე, 45) აზადამოვი აპოლონ მიხეილის ძე, 46) ასტვაცატურიანცი გრიგოლ გარსევანის ძე, 47) აღდგომაშვილი გიორგი სოლომონის ძე, 48) ალშანსკი მიხეილ ვიქტორის ძე, 49) არლუსი ვოლდემარ-კარლ-ავგუსტ არტუსის ძე, 50) აზატიანცი მინას ალექსანდრეს ძე, 51) აზნაურიანცი ამაზასპ ისაკას ძე, 52) აკოფიანცი ოვანეს ნაზარას ძე, 53) აბრამიანცი არამ-სალმასტ ავეტიქას ძე, 54) აბრამიანცი სერგო სარქის მოვსეოს ძე, 55) ავაქიანცი მიქაელ არშაკას ძე, 56) აბოლინი ვლადიმერ იანის ძე, 57) ადიხაროვი პეტრე იოსების ძე, 58) ამირაჯიბი ელიზბარ გრიგოლის ძე, 59) არჩვაძე ალექსანდრე ალექსის ძე, 60) ანძესუროვი დიმიტრი ევგენის ძე, 61) არეგიანცი ნიკოგაიოს გეორქას ძე, 62) აბაჯიანცი სააკ სუკიასას ძე, 63) ალიანაკიანცი გურგენ გრიგოლის ძე, 64) არაფელოვი ალექსანდრე გრიგოლის ძე, 65) ანგოლიანცი გევორქ გასპარას ძე, 66) აზატიანცი ვაგან არშაკის ძე, 67) ამირხიანცი ოვანეს მიხეილის ძე, 68) აბადგრიანცი ისაკ აგაბეკას ძე, 69) ასილიანცი ლეონ მისაკას ძე, 70) ახნაზარიანცი მნაცაკან მათევოსის ძე, 71) არღუთიანც-დოლგორუკი ნიკოკაიოს პოლოსას ძე, 72) ანანიანცი დავით ტიგრანის ძე, 73) ამირხანიანცი ვართან გრიგორის ძე, 74) არგულიანცი არშავირ თომასას ძე, 75) აგბაშიანცი ლეონ დავითის ძე, 76) ანაეტაევი ალექსი ანასტასის ძე, 77) არუთინიანცი ხორენ კარაპეტის ძე, 78) ასლანიანცი ბორის მარტიროსის ძე, 79) ასტვაცატურიანცი აკოფ კირაკოზას ძე, 80) ალიხანიანცი მიხეილ ბაგრატის ძე, 81) აბგარიანცი არტაშეს მურადას ძე, 82) აკოფიანცი აკოფ არუთინას ძე, 83) აიტანოვი სტეფანე არტემის ძე, 84) არღუთინსკი-დოლგორუკოვი სტეფ. ალექსის ძე, 85) არუთიანცი გრიქორ სარქისას ძე, 86) ავაქიანცი ხაჩატურ ივანესის ძე, 87) ავტანუილოვი მიხეილ ალექსანდრეს ძე, 88) აკოფიანცი გიორგი ზაქარიას ძე, 89) აზჩიმსკი კონსტანტინე პავლეს ძე, 90) ალიხანოვი სარქის ალექსანდრეს ძე.

(გაგრძელება იქნება)

ყველა სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებანი მოვალენი არიან დაუყონებლივ შეატყობინონ მათი სრული მისამართი ქ. ტფილისის გამგეობის სამხედრო განყოფილებას, ან პირდაპირ ამ პირთა საცხოვრებელ ადგილის მიხედვით ქ. ტფილისის უბნის კომისრებს.

**ტფილისის ქალაქის გამგეობა.**


## განცხადებანი

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი ნიკოლოზ კარაპეტის ძე არაქელოვის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3189 3—3

დაიკარგა საოჯახო პასპორტი სატენიკ ჯაგინოვის სახელზე, მიღებული სომხების ნაციონალურ საბჭოდან და პაპიროსი ვაჭრობის ნებართვა სერგო ჯაგინოვის სახელზე, მიღებული ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3172 3—3

დაიკარგა მოწმობა, მიღებული სერბიის კავკასიის მისიიდან და ჟურნალისტთა პროფესიონალურ კავშირის ბილეთი, გერმან ტეილბერგის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3178 3—3

დაიკარგა პასპორტი № 344 ნიკო ასლამაზაშვილის სახელზე, მიღებული პეტროგრადის პოლიციიდან 1908 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3174-5—3

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა როსოვის სახელზე, მიღებული სიღნაღის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3179 3—3

დაიკარგა პასპორტი ეკატერინე ტატიშვილის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3180 3—3

მარიამ ნიკოლოზის ასული თოფურიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა: ქუთ. წმ. ნინოს სასწავლებლიდან მიღებული 7 კლასის დამთავრების ატესტატი, 9 კლასის დამთავრების დიპლომი შინაურ დამრიგებლის წოდებით. გაუქმებულად ჩაითვლება. 3—2

კალისტრატე მარკოზის ძე ალშიბაია აცხადებს, რომ დაჰკარგა მოწმობა სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების შესახებ გაცემული ზუგდიდის მაზრის სახხედრო საკრებულოს მიერ 1904 წელში. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3251 3—1

დაიკარგა დამფუძნებელ კრების წევრობის მოწმობა სურათით, რკინის გზის დღიური ბილეთი და „ნაგანის“ სისტემის რევოლვერი № 21260 ტარების ნებართვა თეიმურაზ სტეფანეს ძე ჭელიძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3211 3—3

დაიკარგა პასპორტი № 3865 არსენ აზროას ძე პეტროსოვის სახელზე, მიღებული ისპანეთის ვიცე-კონსულისაგან გაუქმებულად ჩაითვალოს. 3168 3—3

დაიკარგა მოწმობა № 220 რუბენ ბარსეგის ძე პირკულიანის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიტეხნიკური სასწავლებლიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3187 3—2.

დაიკარგა საბინაო დავთარი ჭავჭავაძის ქუჩ. № 31 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის ელისაბედ და ნიკოლოზ არჩუაძეებს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3213 3—1

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა № 2304 პლატონ ივანეს ძე ჩახნაშვილის სახელზე, მიღებული თელავის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან, პირადობის მოწმობა და მეტრიკა გაუქმებულად ჩაითვალოს. 3214 3—1

დაიკარგა საბინაო დავთარი სურფ მინასის ქ. № 8 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის პეტრე გიორგის ძე გრიქუროვს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3216 3—1

ბარსეგ იგივე ვასილი იოსების ძე მიკირტუმიანცმა დაჰკარგა სამსახურის ნუსხა № 3 მიღებული გორის მაზრის სამხედრო აღრიცხვის ნაწილის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3244 3—1

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა, მიღებული ტფილისის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან და გვარდიის წიგნაკი ალექსანდრე ივანეს ძე გიგუაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3218 3—1

დაიკარგა პასპორტი სირაჯუტინ გაჯის ძე ამინტაევის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტრის სამმართველოდან 1908 წ. და სხვა საჭირო საბუთები გაუქმებულად ჩაითვალოს. 3219 3—1

დაიკარგა მამულის გაჩაჩენები შიო გიგაშვილის და ძმათა გიგაშვილების სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3224 3—1

დაიკარგა სიმწიფის მოწმობა № 1094 ილია მიხეილის ძე ზდანევიჩის სახელზე, მიღებული ტფ. 1 ვაჟთა გიმნაზიიდან 1911 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3230 3—1

დაიკარგა ბეჭედი ლესიჭინის თემის ერობის გამგეობისა (ზუგდიდის მაზრა) ზეწარწერით „ლესიჭინის თემის ერობის გამგეობა“ შუაზე სახელმწიფო გერბით. გაუქმებულად ჩაითვალოს. 0602 1—1

დაიკარგა საბინაო დავთარი ანტონოვის ქ. მდებარე სახლის ვანო მიხეილის ძე გულუაშვილის. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3228 3—1

დაიკარგა საოჯახო პასპორტი № 215 ფადეი სტეფანის ძე ოგაჯანოვის სახელზე, მიღებული პეტროგრადში მე-2 უბანში 1899 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3229 3—1

დაიკარგა აკაკი მინას ძე ცქიტიშვილის სახელზე: პირადობის მოწმობები №№ 2145, 6536 მიღებული შორაპნის სამაზრო ერობის გამგეობისაგან, სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა № 298, მიღებული შორაპნის მაზრის სამხედრო ბეგრის საკრებულოსაგან, პირობები კვიტანციები, ამონაწერები და ნარკვევები სხვა და სხვა საქმის შესახებ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 952 3—1

დაიკარგა მეტრიკული მოწმობა № 4172 დავით ბესარიონის ძე ცხადაძის სახელობაზე, მიღებული სინოდალურ კანტორიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3221 3—1

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი ვართან გალუსტის ძე მელქუმოვის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3227 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა პადვაკან ტერ-მიხაილოვის სახელზე, მიღებული ლტოლვილთა კომიტეტიდან ტფილისში. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3225 3—1


სახელმწიფო სტამბა. რედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ მაჭავარიანი